

ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.03.2015 № 45

თბილისი


სტუ-ს ინსტიტუტ ტექნიფორმის ვაკანტური
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმის დებულებისა
და ინსტიტუტის დირექტორის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმის
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით
განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეობა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 18 მარტს და
დასრულდეს 2015 წლის 18 აპრილს, 16 საათზე. საბუთები მიიღება ინსტიტუტის
შენობაში (მის: კოსტავას ქ.№47, მე-6 სართული, ოთახი 18 ტელ: 2 335122, 2
335315, 2 335288), 10 საათიდან – 17 საათამდე; (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების
გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს არაუგვიანეს 2015 წლის 25 აპრილისა.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად
გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ
გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.


რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი



ბ. მაისურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ინსტიტუტ ტექნიკური საინჟინერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული
საკონკურსო ვაკანტური თანამდებობა და კონკურსისათვის წარმოსადგენი
დოკუმენტების ჩამონათვალი

- ანალიზისა და საინჟინერო რესურსების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამეცნიერო-ტექნიკური ინჟინერიის დარგის სპეციალისტებს, რომელთაც გააჩნიათ დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. ასევე კონკურსს უნდა გააჩნდეს აღნიშნულ სფეროში მუშაობის 5 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც ეხება ინჟინერიის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდურ-პრაქტიკულ საკითხებს და განმცხადებლის აზრით წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 1 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);